



საქართველოს  
ენერგეტიკული ბირჟა

ბირჟაზე ვაჭრობის შეფასება  
2024 წლის ივლისი

## ბირჟის მონაწილეები

ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე პირველი აუქციონი ჩატარდა 2024 წლის 1 ივლისს. პირველ აუქციონში მონაწილეობისათვის ბირჟაზე რეგისტრირებული იყო ოთხი მონაწილე. ივლისის თვის ბოლოს კი რეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა 13-მდე გაიზარდა. რეგისტრირებული მონაწილეების სია, ბაზრის წესების შესაბამისად, გამოქვეყნებულია სენბის [ვებგვერდზე](#).

ივლისის ბოლოს მდგომარეობით, ბირჟზე რეგისტრირებულია:


- ელექტროენერგიის მწარმოებელი: 8
- სისტემის ოპერატორი: 3
- საბოლოო მომხმარებელი: 2
- მიმწოდებელი: 1

## ბირჟაზე ელექტროენერგიის ვაჭრობა

პირველი ვაჭრობა დღით ადრე ბაზარზე 24 ივლისის მიწოდების დღისთვის შედგა. ნახაზზე №1 მოცემულია დღით ადრე ბაზარზე ყოველი საათისათვის ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა და ჩამოყალიბებული ფასების დინამიკა. ბირჟაზე ვაჭრობის შედეგების შესახებ დეტალური საჯარო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სენბის [ვებგვერდზე](#).

ივლისის ჯამური ნავაჭრი რაოდენობა შეადგენს 11624.6 მგვტ.სთ და საშუალო შეწონილი ფასი 126.44 ლარი/მგვტ.სთ იყო. დღიურად, ყველაზე მეტი ელექტროენერგიის ვაჭრობა მოხდა 25 ივლისს. ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობამ შეადგინა 2600.6 მგვტ.სთ.

### ნახაზი №1 - დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობის დინამიკა



საბალანსო ელექტროენერგიის საბალანსო ფასმა ივლისის თვისთვის შეადგინა 156.2 ლარი/მგვტ.სთ (15.62 თეთრი/კვტ.სთ). თუ საბალანსო ელექტროენერგიის ფასს შევადარებთ, ელექტროენერგიის მყიდველებისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა ბირჟაზე შესყიდვა. თუ შეფასებისთვის შევადარებთ საბალანსო ელექტროენერგიის ფასსა და ბირჟაზე ჩამოყალიბებულ

საშუალო შეწონილ ფასს, ელექტროენერგიის მყიდველებმა, ჯამურად 2600.6 მგვტ.სთ ელექტროენერგიის შესყიდვით დაზოგეს 340 000 ლარი.


### მოთხოვნა და მიწოდება დღით ადრე ბაზარზე

ივლისის თვის პირველი სამი კვირის განმავლობაში, ბირჟაზე მოთხოვნა მკვეთრად მეტი იყო მიწოდებაზე. 24 ივლისის მიწოდების დღიდან შესამჩნევად გაიზარდა მოთხოვნა და მიწოდებაც, რაც შესაძლოა აიხსნას ბაზრის არსებულ, გადამავალ მოდელში ორმხრივი ხელშეკრულებებით ვაჭრობის სპეციფიკით.

ნახაზზე №2 მოცემულია დღეების მიხედვით აგრეგირებული ჯამური მოთხოვნა და მიწოდება. როგორც ნახაზიდან ჩანს, მონაწილეთა მხრიდან აქტიურობა გაზრდილია 24 ივლისიდან. გარდა იმისა, რომ გაიზარდა მოთხოვნა და მიწოდება, ამ პერიოდიდან ხდებოდა ელექტროენერგიით ვაჭრობა. როგორც ნახაზიდან ჩანს, 24 წლის ივლისიდან, გამყიდველების მიერ შეთავაზებული ელექტროენერგია თითქმის სრულად იყიდებოდა. გამონაკლისი მხოლოდ 24 და 25 ივლისი იყო, როდესაც დღით ადრე ბაზარზე შეთავაზებული ელექტროენერგიის ნაწილი დარჩა გაუყიდავი ამ პერიოდში შესაბამისი მოთხოვნის არ არსებობის გამო.

საათობრივ ჭრილში, ყველაზე დიდი აგრეგირებული მოთხოვნა დაფიქსირდა 26 ივლისის 07:00 საათისთვის - 125.90 მგვტ.სთ, რაც მთლიანი მოთხოვნის 7.2%-ს შეადგენდა. ყველაზე დიდი აგრეგირებული მიწოდება 124.5 მგვტ.სთ 25 ივლისის 09:00-20:00 პერიოდში თითოეული საათისთვის, რაც მთლიანი მიწოდების დაახლოებით 5.5%-ს შეადგენდა.

### ნახაზი №2 - მოთხოვნა და მიწოდება ივლისში



## დღით ადრე ბაზარზე განაცხადის ფასები

ნახაზზე №3 მოცემულია მყიდველისა და გამყიდველის ფასების დინამიკა. მიუხედავად იმისა, რომ ივლისის პირველი სამი კვირის განმავლობაში მოთხოვნა მნიშვნელოვნად აჭარბებდა მიწოდებას, ელექტროენერგიის მყიდველები არ ახდენდნენ საფასო სტრატეგიის ცვლილებას და მათი გადახდაზე მზადყოფნა (განაცხადით განსაზღვრული მაქსიმალური ფასი, რომლის გადასახდელად მზად იყო მყიდველი) ძირითადად იყო უცვლელი. განსხვავებით მყიდველების გადახდაზე მზადყოფნისგან, ელექტროენერგიის გამყიდველები მცირედით ახდენენ შეთავაზებული ელექტროენერგიის ფასის შემცირებას, რაც ამცირებდა სხვაობას მყიდველების და გამყიდველების ფასებს შორის, თუმცა არ ხდებოდა მათი თანხვედრა 24 ივლისამდე.

განაცხადის ფასების სტატიკურობის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად შეიძლება განვიხილოთ საბალანსო ელექტროენერგიის ფასის მიმართ უცვლელი მოლოდინი. როგორც პირველი კვირის ვაჭრობაში იქნა აღნიშნული, ბაზრის გარდამავალ მოდელში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი არის საორიენტაციო ბირჟაზე მონაწილეებისათვის.

### ნახაზი №3 - განაცხადის ფასების დინამიკა

● გაყიდვის განაცხადის მინიმალური ფასი ● ყიდვის განაცხადის მაქსიმალური ფასი

